



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო
პროგრამის შესახებ

ელექტრო და კომპიუტერული ინჟინერია, უმაღლესი განათლების პირველი
საფეხური

შპს - თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 11/04/2023 – 26/04/2023

დასკვნის წარდგენის თარიღი: 16/05/2023

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ.....	4
II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებელი დასკვნა.....	5
III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან.....	8
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა.....	8
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	14
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა.....	21
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	23
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები.....	28

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებთ	შპს - თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	უნივერსიტეტი
დაწესებულების სახე	211359448

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნანი არაბული, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მაქსიმ იავიჩი, კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მიითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	ელექტრო და კომპიუტერული ინჟინერია
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	Electrical & Computer Engineering
უმაღლესი განათლების საფეხური	პირველი საფეხური
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	კომპიუტერული ინჟინერიის ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0714 ელექტრონიკა და ავტომატიზაცია
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება ³	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არაკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული 2018 წლის 5 დეკემბერი გადაწყვეტილება No.193
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

³ მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ⁴

წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამა სახელწოდებით „ელექტრო და კომპიუტერული ინჟინერია“ წარმოადგენს შპს - თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის მოქმედ პროგრამას კვალიფიკაციით **0714 ელექტრონიკა და ავტომატიზაცია**.

2018 წლის 5 დეკემბრის N193 გადაწყვეტილების თანახმად „ელექტრო და კომპიუტერული ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია შვიდი წლის ვადით, განესაზღვრა ორი რეკომენდაცია და რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოდგენის ვადად განესაზღვრა 1 წელი. უსდ-მ 2021 წელს წარადგინა პროგრამის სამი წლის თვითშეფასების ანგარიში, რომელიც ცნობად მიიღო საბჭომ.

საბაკალავრო პროგრამა აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე. პროგრამის ხანგრძლივობაა 4 აკადემიური წელი (8 სემესტრი). პროგრამის მოცულობაა 240 კრედიტი. 1 კრედიტი მოიცავს 25 საათს.

საბაკალავრო პროგრამის კრედიტების მოცულობა შემდეგნაირადაა განაწილებული:

ზოგადი საუნივერსიტეტო განათლება - 50 ECTS
კომპიუტერული ინჟინერიის ზოგადი განათლება - 6 ECTS
კომპიუტერული ინჟინერიის საბაზო განათლება - 65 ECTS
კომპიუტერული ინჟინერიის ძირითადი განათლება - 88 ECTS
ზოგადი პრაქტიკული განათლება - 8 ECTS
არჩევითები - 23 ECTS

საბაკალავრო პროგრამით მისანიჭებელ კვალიფიკაციაა ინჟინერიის ბაკალავრი (0714).

2022 წელს განხორციელდა აღნიშნული პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება არაგეგმური მონიტორინგის პირობებში (სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2022 წლის 4 ივლისის ბრძანება (MES 0 22 0000751017), რომლის საფუძველი გახდა შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ელექტრო და კომპიუტერული ინჟინერიის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა ჯგუფის მიერ ცენტრში 2022 წლის 11 მარტს წარმოდგენილი განცხადება (ცენტრში - რეგისტრაციის №249295, 11/03/2022), სადაც სტუდენტების ნაწილი საუბრობდა გარკვეულ სასწავლო კურსებში ("ელექტრული წრედები 1", "ელექტრული წრედები 2" და "ელექტრომაგნიტური სისტემების") სწავლების და შეფასების პრობლემებზე.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 13 სექტემბრის სხდომის N1172267 ოქმით (27.09.2022) უსდ-ს დაევალა შემდეგი რეკომენდაციების შესრულება:

⁴ პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

1. საბაკალავრო პროგრამის „სწავლის შედეგების შეფასების გეგმაში“ მიეთითოს პროგრამის სწავლის შედეგების პერიოდული შეფასების ციკლი და არადამაკმაყოფილებელ შედეგზე რეაგირების პერიოდი.
2. სასწავლო კურსის „ელექტრონული წრედები 1“ პრერეკვიზიტებში დაემატოს მათლაბის ცოდნა.
3. რეკომენდირებულია სასწავლო კურსებში: „ელექტრული წრედები 1“, „ელექტრული წრედები 2“, „ელექტრომაგნიტური სისტემები“ სილაბუსებში მიეთითოს ყველა მასალა რომელიც საჭიროა აღნიშნული კურსისათვის. სასწავლო კურსის „ელექტრული წრედები 1“ ახალ სილაბუსში გაიწეროს ლაბორატორიული სამუშაოს თემები.
4. შედგეს საგამოცდო ბილეთები სწავლების ენაზე შემდეგ საგნებში: ელექტრომაგნიტური სისტემები, ელექტრული წრედები 1 და ელექტრული წრედები 2.
5. რეკომენდირებულია სასწავლო კურსებში: „ელექტრული წრედები 1“, „ელექტრული წრედები 2“, „ელექტრომაგნიტური სისტემები“ შეფასების კრიტერიუმებს 70% და 20% შორის დაემატოს შეფასებების მინიმუმ ერთი შუალედური კრიტერიუმი მაინც.
6. მიზანშეწონილია სასწავლო კურსებში: „ელექტრული წრედები 1“, „ელექტრული წრედები 2“, „ელექტრომაგნიტური სისტემები“ სტუდენტის ცოდნის შესაფასებლად, უსდ-მ გამოიყენოს შეფასების გამჭვირვალე კრიტერიუმები.
7. რეკომენდირებულია სასწავლო კურსის წამყვანი აკადემიური/მოწვეული პერსონალის მიერ პროგრამის განხორციელების ფარგლებში, წარმოებდეს დაშვებული შეცდომების განხილვანალიზი, მათ შორის საჭიროებისამებრ, კოლეგიალურად აკადემიური/მოწვეული პერსონალის მიერ სტუდენტების მიერ მიღებული შედეგების სააპელაციოდ განხილვა, რაც საშუალებას მისცემს დაწესებულებას და სტუდენტს აწარმოონ ეფექტიანი უკუკავშირი.
8. გატარდეს ქმედითი ღონისძიებები რათა აკადემიუმა პერსონალმა და სტუდენტებმა აქტიურად მიიღონ მონაწილეობა პროგრამის და კურსების შეფასებაში.
9. „ელექტრო და კომპიუტერული ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული შედეგისთვის განისაზღვროს სამიზნე ნიშნულები, რომელიც ასახავს მოლოდინს, თუ რა დონით მიაღწიეს სტუდენტებმა თითოეული სწავლის შედეგი და ხელს შეუწყობს პროგრამის შეფასების და მონიტორინგის პროცესს.
10. უსდ-მ შეიმუშავოს მექანიზმები, რომელიც საშუალებას მისცემს ყოველი სასწავლო კურსის დასრულების შემდგომ შეფასდეს სასწავლო კურსის თითოეული სწავლის შედეგი და ამაში ჩართული იყოს ყველა დაინტერესებული მხარე.

▪ **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

პროგრამის შემოწმება ექსპერტების მიერ განხორციელდა ვიზიტის გარეშე. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის მიზნიდან გამომდინარე, ექსპერტების მიერ განხორციელდა პირველი, მეორე და მეხუთე სტანდარტის შეფასება.

- საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

წარმოდგენილი პროგრამა საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან მიმართებაში შესაბამისობაშია პირველ, მეორე და მესამე სტანდარტთან.

- რეკომენდაციები

გატარდეს ქმედითი ღონისძიებები რათა აკადემიუმა პერსონალმა და სტუდენტებმა აქტიურად მიიღონ მონაწილეობა პროგრამის და კურსების შეფასებაში.

- რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)⁵

- ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე

ექსპერტთა მიერ შემუშავებული დასკვნის პროექტზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა არგუმენტირებული პოზიცია. უნდა აღინიშნოს, რომ ექსპერტებს 3.1 ქვესტანდარტის (სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები) შემოწმება არ განუხორციელებიათ და შესაბამისად რეკომენდაციაც არ გაცემულა, ამიტომ ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა უსდ-ს პოზიცია. 5.1 ქვესტანდარტთან მიმართებაში არ მოხდა არგუმენტირებული პასუხის გაზიარება.

- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

⁵ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

წარმოდგენილი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ელექტრო და კომპიუტერული ინჟინერიის“ მიზანია მოამზადოს მაღალკვალიფიციური სპეციალისტები ელექტრო და კომპიუტერული ინჟინერიის მიმართულებით, რომელსაც ექნება საფუძვლიანი ცოდნა მათემატიკაში, ფიზიკაში, ელექტრო ინჟინერიაში, პროგრამირებაში. პროგრამა ორიენტირებულია შესაბამის შრომის ბაზარზე, როგორც საქართველოში ისე საზღვარგარეთ, კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური სპეციალისტების მომზადებას და სწავლის გაგრძელებას უმაღლესი განათლების შემდეგ საფეხურზე.

პროგრამა მიზნად ისახავს სტუდენტების პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებას, წარმატებული პროფესიული კარიერისთვის ელექტრო და კომპიუტერული ინჟინერიის მიმართულებით.

მიზნების აღწერაში გათვალისწინებულია უნივერსიტეტის მისიასთან შესაბამისობა. თავის მხრივ პროგრამის მიზნები ითვალისწინებს ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნებს და ტენდენციებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- [საგანმანათლებლო პროგრამა](#)
- უნივერსიტეტის მისია;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.1 პროგრამის მიზნები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამის „ელექტრო და კომპიუტერული ინჟინერიის“ სწავლის შედეგები განსაზღვრულია უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს მეორე საფეხურის აღმწერის მიხედვით და შეესაბამება პროგრამის მიზანს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას. სწავლის შედეგები მიღწევადი, რეალისტური და გაზომვადია. სწავლის შედეგები იძლევა დასაქმების შესაძლებლობას და შეესაბამება შრომის ბაზრის მოთხოვნებს.

უნდა აღინიშნოს, რომ „ელექტრო და კომპიუტერული ინჟინერიის“ პროგრამის სწავლის შედეგები წარმოდგენილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №120/ნ ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისად, თუმცა უსდ-მ დოკუმენტაციაში წარმოადგინა წერილი, დათარიღებული 29/11/2022 წლით, რომლითაც განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს მიმართავს აღნიშნული პროგრამის N69/ნ ბრძანების შესაბამისად „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლების სფეროების კლასიფიკატორთან“ თვითშეფასების ანგარიშის დოკუმენტების საფუძველზე შესაბამისობის დადგენის მიზნით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- [საგანმანათლებლო პროგრამა](#)
- 2022 წლის 29 ნოემბერს წერილი No.04_11-147

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია, სადაც დეტალურად გაწერილია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები „სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები“. კონკრეტულად აღნიშნულ პროგრამასთან მიმართებაში შემუშავებულია „სწავლის შედეგების შეფასების გეგმა“, სადაც თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგისთვის დადგენილია სამიზნე ნიშნულები, რომელიც ასახავს მოლოდინს, თუ რა დონით მიაღწევენ სტუდენტები სწავლის შედეგებს.

აღნიშნულ სტანდარტთან მიმართებაში საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით (ოქმი N1172267), უსდ-ს დაევალა შემდეგი რეკომენდაციის შესრულება:

საბაკალავრო პროგრამის „სწავლის შედეგების შეფასების გეგმაში“ მიეთითოს პროგრამის სწავლის შედეგების პერიოდული შეფასების ციკლი და არადადამაკმაყოფილებელ შედეგზე რეაგირების პერიოდი.

აღნიშნულ რეკომენდაციასთან მიმართებაში უნდა აღვნიშნოთ, რომ საბაკალავრო პროგრამის „სწავლის შედეგების შეფასების გეგმაში“ დეტალურადაა გაწერილი, თუ რომელი სწავლის შედეგი, რომელი სასწავლო კურსებით მიიღწევა და შესაბამისი სამიზნე ნიშნულები. შეფასება მოიცავს 2018-2022 წლის პერიოდს და მიმდინარეობს რვა სემესტრის განმავლობაში, თუმცა ამ

დოკუმენტში ცხადად არ არის მითითებული არადაამაკმაყოფილებელ შედეგზე რეაგირების პერიოდი. აღნიშნული საკითხი, თუ როგორ ხდება რეაგირება აღწერილია დოკუმენტში „სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები“ მეორე პუნქტში (2. შეფასების სისტემის მონიტორინგი), რომლის მიხედვითაც

თუ მონიტორინგის შედეგად დადგინდება გადახრა, რეაგირება არის მყისიერი და ლექტორი, შესაბამისი პირების (დეკანის, პროგრამის ხელმძღვანელის, პრორექტორის პროგრამების განვითარების საკითხებში, აკადემიური პერსონალის პროფესიული უნარების განვითარების მენეჯერის, ხარისხის სამსახურის მენეჯერის და საჭიროებისამებრ სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით) ხვეწავს შეფასების სისტემას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები
- სწავლის შედეგების შეფასების გეგმა

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია პროგრამის შედეგების შეფასების პერიოდად გამოყენებული იყოს სასწავლო დროის პერიოდი და არა კონკრეტული წლები. მაგ. ყოველი სემესტრის ან სასწავლო წლის ბოლოს.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის სტრუქტურა შეესაბამება მიზნებს და სპეციფიკას, სასწავლო და სამეცნიერო კვლევითი კომპონენტები თანმიმდევრულადაა დალაგებული, კურსები დეტალურად არის აღწერილი, გათვალისწინებულია სათანადო ლაბორატორიული სწავლება.

აღნიშნულ სტანდარტთან მიმართებაში საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით (ოქმი N1172267), უსდ-ს დაევალა შემდეგი რეკომენდაციის შესრულება:

სასწავლო კურსის „ელექტრონული წრედები 1“ პრერეკვიზიტებში დაემატოს მათლაბის ცოდნა.

აღნიშნულთან მიმართებაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, უსდ-მ განახორციელა სასწავლო კურსში „ელექტრონული წრედები 1“ დაამატა მეოთხე ლექცია მათლაბის ელემენტების შესწავლა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა
- სასწავლო კურსები

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამა შედგენილია „საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განვითარების წესის“ შესაბამისად, პროგრამის სავალდებულო, როგორც ძირითადი სწავლის სფეროს, ისე - თავისუფალი სასწავლო კურსის/კომპონენტის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, დაცულია შესაბამისობა სასწავლო კურსების/კომპონენტის სწავლის შედეგებსა და პროგრამის სწავლის შედეგებს შორის. თითოეული სასწავლო კურსის/კომპონენტის მოცულობა შეადგენს 5 ECTS კრედიტს და სტუდენტის სასწავლო დატვირთვის ადეკვატურია. მისი მიზანი და სწავლის შედეგები შესაბამისობაშია ერთმანეთთან. თითოეული სასწავლო კურსისთვის/კომპონენტისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა), ასევე სხვადასხვა სწავლა-სწავლების მეთოდები შეესაბამება კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს; საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ადეკვატურია და ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას. შეფასებისთვის გამოყენებულია რელევანტური მეთოდები და კრიტერიუმები, სასწავლო კურსის/საგნის თითოეული სწავლის შედეგის მიღწევა ფასდება. სილაბუსებში მითითებული სასწავლო რესურსი უზრუნველყოფს მოცემული სასწავლო კურსის/კომპონენტის სწავლის შედეგების მიღწევას და შესაბამისად პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. გამოყენებული სავალდებულო სასწავლო მასალა აქტუალურია და საკმარისია შესაბამისი საკითხების შესასწავლად. ის ითვალისწინებს სწავლის სფეროს მიღწევებს და მორგებულია შესაბამისი სასწავლო კურსის/კომპონენტის სპეციფიკას, პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავების პროცესში გათვალისწინებულია ბაზრისა და დაინტერესებული მხარეების მოთხოვნები.

დაწესებულებამ გაითვალისწინა რეკომენდაცია III რეკომენდირებულია სასწავლო კურსებში: „ელექტრული წრედები 1“, „ელექტრული წრედები 2“, „ელექტრომაგნიტური სისტემები“ სილაბუსებში მიეთითოს ყველა მასალა რომელიც საჭიროა აღნიშნული კურსისათვის. სასწავლო კურსის „ელექტრული წრედები 1“ ახალ სილაბუსში გაიწეროს ლაბორატორიული სამუშაოს თემები, შესაბამისად სასწავლო კურსების "ელექტრული წრედები 1", "ელექტრული წრედები 2" და "ელექტრომაგნიტური სისტემები" სილაბუსებში მიეთითა აღნიშნული კურსებისათვის საჭირო მასალა. სასწავლო კურსის "ელექტრული წრედები 1"-ის სილაბუსში კი გაიწერა ლაბორატორიული სამუშაოს თემები. ასევე გაითვალისწინა რეკომენდაცია IV შედგეს საგამოცდო ბილეთები სწავლების ენაზე შემდეგ საგნებში: ელექტრომაგნიტური სისტემები, ელექტრული წრედები 1 და ელექტრული წრედები, შესაბამისად სასწავლო კურსების "ელექტრული წრედები 2"-ის და "ელექტრომაგნიტური სისტემების" საგამოცდო ბილეთები შედგა ქართულ ენაზე, სოლო "ელექტრული წრედები 1"- ის საგამოცდო ბილეთების შეცვლა დაგეგმილია კურსის სწავლებისას. გათვალისწინებულია რეკომენდაცია V რეკომენდირებულია სასწავლო კურსებში: „ელექტრული წრედები 1“, „ელექტრული წრედები 2“, „ელექტრომაგნიტური სისტემები“ შეფასების კრიტერიუმებს 70% და 20% შორის დაემატოს შეფასებების მინიმუმ ერთი შუალედური კრიტერიუმი მაინც. სასწავლო კურსებში "ელექტრული წრედები 1", "ელექტრული წრედები 2" და "ელექტრომაგნიტური სისტემები"

შეფასების კრიტერიუმებს 70%-სა და 20%-ს შორის დაემატა შეფასების შუალედური კრიტერიუმი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა თანდართული სილაბუსებით;
- სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები ინტერვიუს შედეგები.
- ბაკალავრიატის დებულება
- ინტერვიუს შედეგები.
- კურიკულუმი

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input checked="" type="checkbox"/>
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვასთან დაკავშირებით უნივერსიტეტი მიყვება ზოგადად მიღებულ წესებს. მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა, შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. საგანმანათლებლო პროგრამებზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები გაწერილია პროგრამაში, განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე. ელექტრო და კომპიუტერული ინჟინერიის საბაკალავრო პროგრამაზე დაშვება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. საბაკალავრო პროგრამით სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის მფლობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს, რომელმაც „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის N19/ნ ბრძანებით დამტკიცებული ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების შესაბამისად, მოიპოვა უფლება ისწავლოს თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტში. აბიტურიენტების ხელშეწყობისა და სტუდენტების მობილობის მიზნით, საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა, ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, დასაშვებია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში: ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება; ბ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში; გ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის, რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში; დ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განსაზღვრული ვადით ცხოვრობენ/ცხოვრობდნენ, სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში 3 ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ასევე შესაძლებელია მობილობის წესით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანებით დამტკიცებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის შესაბამისად. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საბაკალავრო პროგრამა, სწავლის შედეგებისა და საფეხურის შესაბამისად, უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის პრაქტიკული და კვლევითი უნარების გამომუშავებას, ტრანსფერული უნარების განვითარებას. სავალდებულო სახითაა წარმოდგენილი სასწავლო კურსები აკადემიური წერა, სტუდენტური პროექტი, საბაკალავრო პროექტი და სხვ. კვლევითი კომპონენტის სწავლის შედეგები შეესაბამება და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, შესაბამისად კი სწავლის საფეხურისათვის აუცილებელი კომპეტენციების გამომუშავებას. უნივერსიტეტის მიერ პროგრამის ფარგლებში შემუშავებული სტუდენტების პრაქტიკული და კვლევითი საქმიანობის დაგეგმვის და განხორციელების მოდელი შეესაბამება სწავლების საბაკალავრო საფეხურს და პროგრამის სწავლის შედეგებს, არის სტუდენტზე ორიენტირებული და გამორიცხავს ნებისმიერი სახით სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობას. პროცესი მიმდინარეობს გამჭვირვალედ. უნივერსიტეტი ხელს უწყობს სტუდენტების ჩართვას კურიკულუმის გარე კვლევითი თუ სამეცნიერო-კვლევითი პროექტების განხორციელებაში - როგორც სტუდენტურ, ისე პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად. პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი დაგეგმილია სწავლის შედეგების შესაბამისად და შეესაბამება სწავლების შესაბამის საფეხურს. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით პრაქტიკის ობიექტებთან და პოტენციურ დამსაქმებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები და მემორანდუმები ხელს უწყობს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას და ითვალისწინებს სტუდენტების რაოდენობას, ასევე პრაქტიკის მიზანს, შედეგს და ხანგრძლივობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტის ვებ გვერდი
- ელექტრო და კომპიუტერული ინჟინერიის საბაკალავრო პროგრამა
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი /შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების შესაბამის საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. სასწავლო პროგრამების კომპონენტებში გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას და მიმართულია შესაბამისი კომპეტენციის განვითარებაზე. პროგრამების განმახორციელებელი აკადემიური/მოწვეული პერსონალი იყენებს სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლება-სწავლის თანამედროვე მეთოდებს, რაც გულისხმობს სტუდენტზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს, სადაც გათვალისწინებულია სტუდენტის ინტერესები და მოთხოვნილებები. თითოეული კურსის ფარგლებში დაგეგმილი სწავლება-სწავლის მეთოდები და აქტივობები მიმართულია საჭირო უნარების გამომუშავება/განვითარებაზე. სასწავლო საგანმანათლებლო პროგრამა აერთიანებს სწავლა-სწავლების მრავალფეროვან

